ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

N 6663/01
29/06/2021

6663-01-2-202106291713


ფ/პ პაატა გირმისაშვილს

მის: ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შილდა

ელ. ფოსტა: beqagirmisashvili@gmail.com

tel: 557 10 53 67


საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 17 მაისის N10675 განცხადებით წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. შილდას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის პროექტს.

წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციაში კვლავ არ არის დასაბუთებული ჩამდინარე წყლისთვის დადგენილი და ზდჩ ნორმების ანგარიშში გამოყენებული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მაჩვენებლები. ამასთან, ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმა გაანგარიშებული უნდა იყოს 2013 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N414 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი საჭიროებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებას. შესაბამისი ინფორმაცია და განმარტებები ასევე დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან მიმართებითაც.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის

სამინისტროში წარმოდგენა, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე